სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 მარტი, 2026 წელი

ბრძანება №01-10/33

ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის" და ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის 2026 წლის 19 მარტის N335833 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი **ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში** ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ **ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების არანაკლებ მე-3 სასწავლო წლის სტუდენტებს, ბსუ-ს მაგისტრანტებს ან ბსუ-ს კურსდამთავრებულებს (შენიშვნა:** საბაკალავრო საფეხურის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა იყოს 120 კრედიტზე ნაკლები).
3. კანდიდატი უნდა ფლობდეს წერითი და ვიზუალური თხრობის უნარებს, უნდა ჰქონდეს მულტიმედიური, მათ შორის გრაფიკული და ვიდეო კონტენტის შექმნის საბაზისო გამოცდილება (Adobe Photoshop, Premiere Pro, CapCut ან ანალოგიური პროგრამები), იცნობდეს და აქტიურად იყენებდეს სოციალური მედიის პლატფორმებს (Facebook, Instagram, TikTok, LinkedIn), გამოირჩეოდეს კრეატიული აზროვნებითა და თანამედროვე ტრენდების ცოდნით, ჰქონდეს პასუხისმგებლობის მაღალი დონე და გუნდური მუშაობის უნარი (პორტფოლიოს წარმოდგენა ჩაითვლება უპირატესობად).
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა **2026 წლის 23 მარტიდან 03 აპრილის ჩათვლით** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის **(კანცელარია)** ან **ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის** (chancellery@bsu.edu.ge) **მეშვეობით უნდა წარმოადგინონ:**

ა) განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (ფორმა - წინამდებარე ბრძანების №1 დანართი, მათ შორის, სამოტივაციო ნაწილი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) CV;

დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტატუსის შემთხვევაში) და **სასწავლო ბარათი,** ხოლო ბსუ-ს კურსდამთავრებულმა - ბსუ-ს დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;

ე) ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4);

ვ) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

5. კონკურსის წესით შეირჩეს 2 სტაჟიორი, რომლებიც **ერთი თვის** განმავლობაში გაივლიან ანაზღაურების გარეშე სტაჟირებას ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში

(**სამუშაო ადგილი:** ქ. ბათუმი, რუსთველის №32, ბსუ-ს №1 კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი №33), სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი), ორ ცვლაში, შემდეგი განრიგით: პირველი ცვლა (09:00 სთ - 13:00 სთ), ხოლო მეორე ცვლა (14:00სთ - 18:00სთ).

6. სტაჟირების გავლის პერიოდში სტაჟიორებმა უნდა შეასრულონ ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული დავალების ფარგლებში.

7. სტაჟირების გავლის შედეგების დადებითად შეფასების (სტაჟირების წარმატებით გავლის) შემთხვევაში სტაჟიორზე გაიცეს სერტიფიკატი.

8. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების პერიოდის (ერთი თვე) გასვლის შედეგად, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე **შეირჩევა ერთი სტაჟიორი,** რომელიც შესაძლოა დასაქმდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, არაუმეტეს 6 თვის ვადით (ანაზღაურებადი სტაჟირება). დასაქმებული სტაჟიორის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (არაუმეტეს 500 ლარი).

9. სტაჟიორთა შერჩევის მიზნით **შეიქმნას საკონკურსო კომისია,** რომელმაც უნდა განსაზღვროს **კონკურსის ჩატარების ვადები** (დოკუმენტაციის გადარჩევა, კონკურსანტებთან გასაუბრება, შედეგების გამოცხადება), ინფორმაცია განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

10. განცხადება სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ (წინამდებარე ბრძანების №2 დანართი) გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, კონკურსების ველში. იმავე ველში თან დაერთოს წინამდებარე ბრძანება, ბსუ-ს სტაჟირების გავლის წესი, სტაჟირების განაცხადის ფორმა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობა.

11. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

12. ბრძანება ამოქმედდეს ხელისმოწერისთანავე.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 20 მარტის №01-10/33 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა მისაღებ კონკურსში მონაწილეობის მსურველის **სააპლიკაციო განცხადება** (განაცხადი სტაჟირებაზე)	
სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	
მიუთითეთ (შემოხაზეთ მარჯვენა ველში) ბსუ-ს სამუშაო დღეების (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) **სამუშაო საათები,** რომელშიც გსურთ სტაჟირების გავლა	○ 9⁰⁰სთ - 13⁰⁰სთ-ებში (შემდეგში - **პირველი ცვლა)** ○ 14⁰⁰სთ - 18⁰⁰სთ-ებში (შემდეგში - **მეორე ცვლა)**

განათლება

(მიუთითეთ სად და რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ ან დაასრულეთ სწავლა)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	
სწავლების საფეხური	
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
სწავლების წლები	
სტუდენტის სტატუსი ამჟამად (აქტიური/შეჩერებული/კურსდამთავრებული	
მიღებული აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით)	

მიუთითეთ, თუ რომელ უცხო ენას ფლობთ და რა დონეზე

(სუსტად, საშუალოდ, კარგად თუ სრულყოფილად)

უცხო ენა	კითხვა	წერა	მეტყველება

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

მიღებული გრანტები და სტიპენდიები:

გრანტის/სტიპენდიის გამცემი/მასპინძელი ორგანიზაცია/ დაწესებულება	გრანტის/სტიპენდიის მიღების პერიოდი (წლები)	სხვა ინფორმაცია

შრომითი გამოცდილება

დამსაქმებელი ორგანიზაცია	
დაკავებული თანამდებობა/პოზიცია	
დამსაქმებელი ორგანიზაციის მისამართი/ვებგვერდი	
დასაქმების პერიოდი	

კონკურსანტის სამოტივაციო განაცხადი

(სამოტივაციო განაცხადში უნდა მიეთითოს: რა პროფესიული მიზნები გაქვთ? რა როლს ითამაშებს სტაჟირება ამ მიზნების მისაღწევად? რატომ აირჩიეთ ამ განაცხადში მითითებული სტრუქტურული ერთეული სტაჟირებისათვის? რა წვლილს შეიტანთ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის და ზოგადად, უნივერსიტეტის საქმიანობაში?)

ბსუ-ს რეგულაციების გაცნობის შესახებ დადასტურება

აპლიკანტი (სტაჟირების მსურველი) აცხადებს, რომ წინამდებარე სააპლიკაციო განცხადების წარმოდგენამდე **გაეცნო** ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, **ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც განიხილება ბსუ-ში დასაქმებულთან (მათ შორის სტაჟიორთან) დადებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), **ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას,** ასევე **იმ სტრუქტურული ერთეულის დებულებას და პერსონალის ფუნქციათა აღწერილობას,** რომელშიც განმცხადებელს სურს სტაჟირების გავლა ან/და დასაქმება. აღნიშნული დოკუმენტები, სხვა რეგულაციებთან ერთად განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge, ველში **,,იურიდიული ცნობარი"**)

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე აპლიკანტის (შემდეგში - მონაცემთა სუბიექტი) წერილობითი თანხმობა

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით, დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტა, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ფოტო, ინფორმაცია განათლებისა და შრომითი გამოცდილების შესახებ). აგრეთვე, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც მუშავდება კანდიდატის სოციალური მდგომარეობის იდენტიფიცირებისა და თანაბარი პირობების შემთხვევაში, შერჩევის პროცესში მისთვის პრიორიტეტის მინიჭების მიზნით. მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების უფლების მოპოვებისა და კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, სტაჟირების გავლის მიზნით.

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **ადასტურებს (აცხადებს),** რომ ინფორმირებულია **მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება ამ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის განხილვა-დამუშავების, სტაჟირების გავლის უფლების მოპოვების შემთხვევაში კი, შემდგომი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადითა და წესით.

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

აპლიკანტი ადასტურებს, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის უტყუარი და იძლევა თანხმობას, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტმა გადაამოწმოს მითითებული მონაცემების სისწორე შესაბამის დაწესებულებებში. **ვადასტურებ ხელმოწერით:** ----------	
აპლიკანტის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები	
მიუთითეთ (შემოხაზეთ მარჯვენა ველში) სააპლიკაციო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები	○ პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ასლი; ○ CV; ○ ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტატუსის შემთხვევაში); ○ **სასწავლო ბარათი** (უნდა წარმოადგინოს ბსუ-ს სტუდენტმა); ○ ბსუ-ს დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი (უნდა წარმოადგინოს ბსუ-ს კურსდამთავრებულმა); ○ ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4); ○ ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).
განცხადების წარმოდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
აპლიკანტის ხელმოწერა:	

„ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 20 მარტის №01-10/33 ბრძანების

№2 დანართი

ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი

1. გამოცხადდა კონკურსი ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ მე-3 სასწავლო წლის სტუდენტებს, ბსუ-ს მაგისტრანტებს ან ბსუ-ს კურსდამთავრებულებს (შენიშვნა: საბაკალავრო საფეხურის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა იყოს 120 კრედიტზე ნაკლები).
3. კანდიდატი უნდა ფლობდეს წერითი და ვიზუალური თხრობის უნარებს, ჰქონდეს მულტიმედიური, მათ შორის გრაფიკული და ვიდეო კონტენტის შექმნის საბაზისო გამოცდილება (Adobe Photoshop, Premiere Pro, CapCut ან ანალოგიური პროგრამები), იცნობდეს და აქტიურად იყენებდეს სოციალური მედიის პლატფორმებს (Facebook, Instagram, TikTok, LinkedIn), გამოირჩეოდეს კრეატიული აზროვნებითა და თანამედროვე ტრენდების ცოდნით, ჰქონდეს პასუხისმგებლობის მაღალი დონე და გუნდური მუშაობის უნარი (პორტფოლიოს წარმოდგენა ჩაითვლება უპირატესობად).
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა **2026 წლის 23 მარტიდან 03 აპრილის ჩათვლით ბსუ-ს** საქმისწარმოების სამსახურის **(კანცელარია)** ან **ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის** (chancellery@bsu.edu.ge) მეშვეობით **უნდა წარმოადგინონ:**
ა) განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (შევსებული სტაჟირების გავლის წესის №1 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად, მათ შორის, სამოტივაციო ნაწილიც);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) CV;
დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტატუსის შემთხვევაში) და **სასწავლო ბარათი,** ხოლო ბსუ-ს კურსდამთავრებულმა - ბსუ-ს დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;
ე) ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4);
ვ) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).
5. კონკურსის წესით შეირჩეს 2 სტაჟიორი, რომლებიც **ერთი თვის** განმავლობაში გაივლიან ანაზღაურების გარეშე სტაჟირებას ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში **(სამუშაო ადგილი:** ქ. ბათუმი, რუსთველის №32, ბსუ-ს №1 კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი №33), სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი), ორ ცვლაში, შემდეგი განრიგით: პირველი ცვლა (09:00 სთ - 13:00 სთ), ხოლო მეორე ცვლა (14:00სთ - 18:00სთ).
6. სტაჟირების გავლის პერიოდში სტაჟიორებმა უნდა შეასრულონ ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული დავალების ფარგლებში.

7. სტაჟირების გავლის შედეგების დადებითად შეფასების (სტაჟირების წარმატებით გავლის) შემთხვევაში სტაჟიორზე გაიცეს სერტიფიკატი.

8. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების პერიოდის (ერთი თვე) გასვლის შედეგად, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე **შეირჩევა ერთი სტაჟიორი,** რომელიც შესაძლებელია **დასაქმდეს** საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, არაუმეტეს 6 თვის ვადით (ანაზღაურებადი სტაჟირება). დასაქმებული სტაჟიორის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (არაუმეტეს 500 ლარი).

9. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი **საკონკურსო კომისიის მიერ უნდა** განსაზღვრება კონკურსის ჩატარების ვადები (დოკუმენტაციის გადარჩევა, კონკურსანტებთან გასაუბრება, შედეგების გამოცხადება), ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

10. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ წინამდებარე **განცხადებას თან ერთვის:**

10.1. სტაჟირების განაცხადის ფორმა („ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“ №1 დანართი);

10.2. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესი“;

10.3. კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება;

10.4. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობა.